საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 217
1877

№ 217
1093

ოკტომბერი 11, შაბათი 1903 წ.

# ივერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 11, შაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

აზ. „ივერია"

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით —9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

---

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

მ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების"

## ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იხარით აპილმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელაძე.**

---

იბეჭდება ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა

## საქართველოს კალენდარი

3 გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. —კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქნება.

**მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად**

ფასი: წიგნის თავში—1 გვ. 10 მან., $^1/_2$ გვ.—6 მან:

წიგნის ბოლოში 1 გვ.—6 მან., $^1/_2$ გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში, ქუთაისში, გ. ბეჟანიშვილთან და მ. ლადიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების" გამოცემა

## კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე გარდა საეკლესიო ცნობებისა აღნიშნული იქნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილი იქნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები.

(10—4)

---

წარმოდგენა № 9. ტელეფონი № 617

## ქართული თეატრი

კვირას, 12 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

## ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქმ. და 7 სურ. თარ. ვ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი დაკლებულია**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**შაბათს, 11 ოკდომბერს 1903 წ.**

წარმოდგენილი იქნება

## ოპრიჩნიკი

ოპერა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: რკნე-რადინა, სელიუკ-როზანატოვსკაია, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ფედოროვი, გრინიოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბ-ნი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

კვირას, 12 ოკდომბერს, მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: პირველი «პაიაცები", ოპერა 2 მოქ. პროლოგით, მუსიკა ლეონკოვალოსი. და მეორე—«კრესტიანსკაია სვადბა", ორიგინალური კრაკოვსკის ბალეტი ერთ მოქმ., თხზ. მოისოსი, მუსიკა სტეფანისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «ფრანჩესკა და რიმინი», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ე. ნაპრავნიკისა.

ბილეთები იყიდება.

---

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 11 ოკდომბერს 1903 წ.

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, მირიანაშვილი, ვ. მატარაძე.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

---

ქართველ ქალთა

**საზოგადოების სამკერვალოში**

პირველ ოკდომბრიდან დაიწყება

## საღამოს კურსები

ჭრა-კერვისა ინტელიგენტ ქართველ ქალთათვის,

ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(5—უ 4)

---

## ექიმი ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით, კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში.

(10—5)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

**რობინზონ კრუზე**

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფოს-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

---

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. მ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**მ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**პრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## ტფილისი

❀ ამ სამის წლის წინად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის თაოსნობით უწმინდეს სინოდს მოხსენდა აზრი რუსეთის სასულიერო აკადემიებში საქართველოს საეკლესიო ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლისათვის კათედრის დაარსებისა. რამდენადაც გვახსოვს, ამ მოხსენებაზედ ხელი უწერიათ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსებს—გურია-სამეგრელოსას ალექსანდრეს, იმერეთისას ლეონიდს და კირიონს. დღეს ნამდვილად შევიტყეთ, რომ, კისლოვოდსკიდამ მიტროპოლიტის ანტონის წინადადებით, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოს უკვე დაუარსებია აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიის კათედრა და მასთან საქართველოს ეკლესიის ისტორიისაც. პროფესორიც უკვე დასახელებულიაო.

❀ გუშინწინ, ხუთშაბათს, თავად-აზნაურთა თეატრში ქართული წარმოდგენა იყო. წარმოადგინეს დრამა კარეევისა „უბედური ნაბიჯი", თარგმანი შალვა დადიანისა და ნ. აზიანის კომედია „გაცრუებული იმედები". წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. თეატრი მაყურებლებით სავსე იყო.

❀ ტფილისში, როგორც ვიცით, დაარსებულია სამარხი კასსა. ამას წინად გარდაიცვალა ამ კასის ერთი წევრი ნ. ს—ს ასული ე—ისა, რომელსაც კასაში ჰქონია შეტანილი მხოლოდ სამი მანეთი და 25 კ. ჭირისუფალმა მიიღო სამარხ კასიდგან დახმარებად ორას ჩვიდმეტი (217) მანეთი. ამგვარი დახმარება არა თუ ღარიბისა, საშუალო შეძლების კაცისათვისაც დიდი რამ არის გაჭირვების დროს და გვიკვირს, რომ ამისთანა სასარგებლო დაწესებულება ჯერ-ჯერობით, როგორც შევიტყეთ, წევრებით ვერ შევსებულა (ამხანაგობაში ხუთასი წევრი უნდა იყოს).

❀ მოგვივიდა IX ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა" შემდეგის შინაარსით: ლორი - იგავი ალ. მირიანაშვილისა; პურის ნატეხი (თარგმანი) ალ. ცუცქირიძისა; ფუტკარი, ლექსი შ. მღვიმელისა; ვაშლი (რუსულიდან) გ. წყალტუბელისა; სპილო და მკერვალი (ფრანგულიდან) მ. ს. ლორთქიფანიძისა; ღვთის მწერი (ფრანგულიდან) ეკ. მესხისა; რისთვის არის ზღვის წყალი მლაშე,—ნიკო მაჩაბლისა; ვასოს საიდუმლო (თარგ). ს. ციციშვილისა; ბეჟანია (ქირაფი) ლადო აღნიაშვილისა; მეხომალდენი (ოვიდიუსი) ა. ყუმისთაველისა; ძველი ისტორია (ერნესტ ლავისისა) თარგ. ნ. შენგელიასი; ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა და სხვა.

❀ ქვალონისა, ქალადიდისა და სხვა სოფლების საზოგადოებათა (ქუთაისის გუბერნიისა) საჩივარი მიუციათ მთავრობისათვის, რომ ფოთის მხარეს რკინის გზის ხიდის გადების შემდეგ მდინარე კიონახინჯი ადიდების დროს სრულიად აფუჭებს მინდვრის ნათესობას. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას მიუწერია რკინის გზის სამართველოსთვის, მიიღეთ რაიმე ღონისძიება მინდვრების წალეკის წინაამდეგაო. რკინის გზის სამმართველოს გამოუკვლევია საქმე და დარწმუნებულა, რომ სოფლის საზოგადოებათა საჩივარი სამართლიანია. ამის გამო განუზრახავს გაამაგროს მდინარის ნაპირები და შეუტანია სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში 70,000 მანათი. ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დაუმტკიცებია სახაზინო რკინის გზების მთავარ-საბჭოს.

❀ საექიმო უწყებას განუზრახავს მოუმატოს ჯამაგირი მაზრისა და სოფლის საზოგადოებათა ექიმებს, რადგან ეხლა მეტად მცირე ჯამაგირს იღებენო. მალე მაინც მოიყვანონ აღსრულებაში ეს განზრახულება, რომ მაშინ მაინც მოიკიდონ ფეხი ექიმებმა და სოფელს არ გაურბოდნენ.

❀ მთავრობის განკარგულებით, 6 ოკდომბრიდგან ექიმი ქალი მარიამ იოსელიანისა გამწესდა ამიერ-კავკასიის ოლგის სახელობაზედ არსებულ საბებიო ინსტიტუტის ორდინატორად.

❀ ტფილისიდგან 9 ოკდომბერს გაემგზავრა გუდაუთსა და ოჩემჩირეს და განსაკუთრებული კომისია კერძო მიწის მფლობელთა უფლების გამოსარკვევად. თავმჯდომარედ კომისიისა არის მთავარმმართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი მაქსიმოვი, წევრებად სამხედროსაერო სამმართველოს უფროსი ჩერნოვი, ამავე სამმართველოს ესაული და მიწის მზომელი ლიონოვიჩი.

❀ ტფილისის მეექვსე საპოლიციო ნაწილში ამას წინად პოლიციის მოხელეებმა დაჰკეტეს ორი კერძო სკოლა, რომლის დასაარსებლად ნება-რთვა არ იყო

სახალხო სკოლების დირექციისაგან აღებული. ოქმები ამის შესახებ დირექციას გაეგზავნა. საფიქრებელია, რომ დამაარსებელნი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი. ამ სკოლებში წერა-კითხვას ასწავლიდნენ და თითო ბავშვს ართმევდნენ თვეში ათ შაურიდგან მანათამდე.

*** მას შემდეგ, რაც ბერძნულის ენის სწავლა გიმნაზიებში სავალდებულო აღარ არის და თვით მოწაფეთა სურვილზეა დამოკიდებული, თითქმის აღარავის უნდა შეისწავლოს ეს ენა. ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში მეოთხე კლასიდგან მეხუთეში გადასულ მოსწავლეთაგან მხოლოდ სამმა გამოაცხადა სურვილი ბერძნულის ენის სწავლისა. პირველსა და მესამე გიმნაზიებში-კი არც ერთი მსურველი არ აღმოჩენილა.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა სენატს საჩივარი სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის გაუქმების გამო. საჩივრის ქაღალდის ბოლოში მოურავი სწერს, რომ არც გუბერნატორი და არც საქალაქო საქმეთა საკრებულო არ ასახელებენ იმ კანონს, რომლის ძალითაც უფლება აქვს გუბერნატორს, უკანონოდ იცნოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება და მოითხოვოს იმისი გაუქმება. 20 წლის განმავლობაში კომიტეტს უმაღლეს მთავრობისაგან მოსდიოდა მოწერილობანი და განკარგულებანი სკოლის შესახებ და უმაღლესი მთავრობა კანონიერად სცნობდა კომიტეტის არსებობას. თუ გუბერნატორი უკანონოდ სცნობდა კომიტეტის არსებობას, შუამდგომლობა უნდა აღეძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე. დასასრულ, მოურავი სთხოვს სენატს, გააუქმოს ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება.

*** როგორც თათრული „შარკი რუს“-ი გადმოგვცემს, ამ [illegible] ქალის, [illegible] ტფილისის [illegible] გიმნაზია, განზრახვაა ქალაქში [illegible] სასწავლებლის დაარსება მაჰმადიანთათვის.

## ჩვენებური ამბები

**ლიხაური.** თოთ სოფელზედ მეტი ძრიელ შეწუხებული იყო უხიდობით. ხაზინამ იკისრა მისი გაკეთება 1901 წელს. ხიდი დაუდგა რაიმე თემით, მაგრამ დღეისათვის რიონმა წილი 26 სეკვიმებს და დარჩნ ისევ უხიდოდ.

ი. ქუჩიძე ახალაძე.

**ოზურგეთი.** აქაურ ვაჭრებს არავითარი ინტერესი არა აქვთ არც თეატრისა, არც სამკითხველოსი და არც რამ სხვა საზოგადო დაწესებულებისა. სხედან დუქნებში და, საქმეც რომ არა ჰქონდეთ, მაინც თავს არ ანებებენ. თუ დაცალდნენ, მხოლოდ [illegible], როცა ქეიფი და დროს გატარება მოუწყდებათ. აქაური კლუბი ხომ უფრო გულგრილნი არიან საზოგადო საქმეში. ამათ აინტერესებთ უფრო მოდები, ჩაცმა-დახურვა და სხვა არაფერი. ინტელიგენცია კიდევ უფრო ბანქოსა და ნარდის თამაშობას ეწყობა. ნოქრებს ცოტაოდნად ეშველათ. კვირა-დღეობით დუქნები იკეტება დილის 12 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან მეორე დღემდე. საეჭვოკია რომ დიდხანს დაიცვან აქ ეს წესი ვაჭრებმა.

მხიარულიძე

**ხონი.** ჩვენი ბულვარი ძრიელ უსუფთაოდ ინახება. წინად უვლიდნენ, ყურადღებას აქცევდნენ, ხეებს რგავდნენ და საზოგადოდ სუფთად ინახავდნენ, ახლა კი მიატოვეს.

ფოსტის განყოფილება გვაქვს, მაგრამ დამტარებელი რიგიანად ვერ ატარებს ჟურნალ-გაზეთებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ნოქრებს ცოტაოდენი შეღავათი მიეცათ და კვირა-უქმე დღეებში სამი-ოთხი საათი აქვთ თავისუფალი.

ალ მებუკე.

**სოფ. რეხა** (ბორჩ. მაზ.). რეხელებისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, არა მგონია, სხვა სოფლელნი იყვნენ. ამათის საცოდავობით ქვა იწვის... რომელ ერთ გაჭირვებას უნდა გაუძლონ: სახელმწიფო გადასახადი იხადონ, თუ მამულის იჯარის ხარჯი, უადგილ-მამულობა იჩივლონ და სივიწროე, თუ მევახშეების ულმერთო სარგებლის ხდა?! ლამის შიმშილობა ჩამოვარდეს. მიზეზი წრევანდელი ახირებული უამინდობაა. ოკდომბერი დადგა და თითქმის ნახევარზედ მეტი ყანები მოსამკალი. თითო ორიოლა მეკომურმა ძლივს მოასწრო, ისიც შეძლებულმა, ორისა თუ სამის კალოს გალეწვა, ისიც ქერისა და სხვანი-კი ღმერთს შესთხოვენ ამინდსა, მაგრამ სადაა ამინდი: ხან მზე, ხან ქარიშხალი, ხან წვიმა, ხან სიცივე და თოვლ-ჭყაპი რეხელებს ზედ სიძეთ ჩამოესახლა. სდგას მთელს სოფელში საცოდაობის ლული. მაგრამ რეხლები, როგორც ყველა გაჭირვების ამტანნი, მოთმინებაში არიან, ღმერთს მადლობას სწირავენ და უამინდობას ებრძვიან, დღეში ორჯელ-სამჯერ კალოზედ ქირნახულს გაშლიან გასალეწად და იმდენჯერვე აგროვებენ შუაგულ კალოში ტანჯულ, გაულეწავ ქინახულსა. ლპება ქინახული და რეხელიც გულ-ხელდაკრეფილი თავს დასცქერის თავის წვითა და დაგვით მოყვანილს ნაამაგარს...

ამ ტანჯვას კიდევ ის დაერთო ზედ, რომ ოკდომბრის დამლევამდე კერძო მამამულების იჯარის ფული უნდა შეჰკრიბონ. ეს ფული თითქმის ას ათ თუმნამდე იქნება სახელმწიფო ხარჯიც ას თუმანს აღემატება.

ე. ლომიძე.

**დ. ლანჩხუთი.** ამ ღამას წინად ეძახდნენ „ნაჩხუბი“, ვინაიდგან ოსმალები რომ შემოესივნენ გურიას, პირველი და გამწვავებული ომი აქ მოხდა. შემდეგ-კი ეს სახელი გადაასხვაფერეს და ლანჩხუთი დაარქვეს. გურიის დაბა-სოფლებთან შედარებით ლანჩხუთს, სხვა მხრივ თუ არა, სწავლა-განათლების მხრივ მაინც პირველი ალაგი უნდა დავუთმოთ. ლანჩხუთის ბაზარში რომ გაივლით, პირველ-ყოვლისა თქვენს ყურადღებას იპყრობს ორ-სართულიანი, ლამაზი შენობა, სადაც მოთავსებულია ვაჟების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, შემდეგ შეუხვევთ ვიწრო ქუჩაში, ეკლესიის გვერდით, და თქვენს ყურადღებას იპყრობს საერთო განმეორების ხმა—მასწავლებელი პატარა ქალებს გაკვეთილს ამეორებინებს—აქ არის ქალთა ორ-კლასიანი სასწავლებელი. გათავდა გაკვეთილი და გარეთ გამოცვივდნენ პატარა მოსწავლე ქალები: ჰხტიან, იცინიან, თამაშობენ, მღერიან; ყველას სიცოცხლე და სწავლისადმი მისწრაფება ეტყობა...

დიაღ, თუ წინად სიბნელით და სიჩუმით მოცული იყო ეს მხარე, ახლა სიჩუმე, მყუდროება ხმაურობად შეიცვალა და სიბნელე სინათლედ.

აქვე არის სასამართლო, წიგნის მაღაზია, მეპურეთა ამხანაგობა, „მოდის“ მაღაზია და სხვა. დაკეტილ სამკითხველოს შენობა დაღვრემით გამოიყურება, თითქოს მკითხველთ იწვევდეს თავისკენ, მაგრამ დაკეტილ სამკითხველოში ვინ შევა.

გაზეთის შოვნა აქაც ძნელია. თუმცა წიგნის მაღაზიაში მოდის „ცნ. ფურ.“-ი, მაგრამ ის ხომ საზოგადო სახლი არ არის, ყველას არ შეუძლია შიგ შევიდეს. „ივერიის“ წაკითხვა მინდოდა, წიგნის მაღაზიის გამგეს შევეკითხე, სად შეიძლება შოვნა მეთქი, მაგრამ მან „არ ვიცი“, მიპასუხა.

6 მარიამობისთვეს წყალ-დიდობამ აქაც წაიღო ყანები, ჩამოჰყარა ყურძენი. დიდი ზარალი მოუვიდათ მდ. ორაგვის ღელის პირის მცხოვრებთ. იმნაირად ადიდდა, რომ სახლის ეზოები და სახლებიც წყალით აივსო. ერთის მოსახლის სამზარეულოს საძირკველი ეხლაც ჩასილულია. შინაური ფრინველ-საქონელიც დაახრჩო. ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, თითო მოსახლეს, მეტი თუ არა, 20 მან. ზარალი მაინც მოუვიდა. ამდენად ნაზარალევი მოსახლე 100-დეა, მაშ 100 მოსახლეს დაეკარგა 2000 მ. ამას ზედ დავუმატოთ უსიმინდობა, პეპელას გაჩენა სიმინდში და უნდა ვიფიქროთ, რომ მცხოვრებთ აუცილებლად შიმშილობა მოელით.

დ. ქ

## რუსეთი

საბოლოოდ მოეწყო ცალკე საკრებულონი სანავთსადგურო საქმეთათვის.

— პრ.-დოცენტი პოკროვსკი დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტის ექსტრა-ორდინარ პროფესორად და ჩაჰბარდა კათედრა შედარებით ენათა-ცოდნისა და სანსკრიტულის ენისა.

— ლიტერატორთა და სწავლულთა ურთიერთის დახმარების კასას ჰყოლია ამ ჟამად ექვსი პენსიონერი. სამს ახალს ეძლევა თითოს 300 მან. პენსია. სულ ექვსივეს—2,280 მან.

— 3 ოკდომბერს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტმა თ. ა. გ. შჩერბატოვმა წაიკითხა მოხსენება—რა მნიშვნელობა აქვს დიდს მიწად მფლობელობას და როგორ უნდა იქმნას წარმოებული მეურნეობა დიდს მამულებში. რუსეთში ძალიან გამრავლდა ხალხი და მამულის სიმცირე საგრძნობელი შეიქმნაო. ამ უკანასკნელ 40 წელს ერთი-ორად იმატა მკვიდრთა რიცხვმა, ხოლო იქ, სადაც შავი მიწაა, ერთი სამადაც და ერთი ოთხადაც. 80-ან წლებამდე ჩვენს განაპირა ქვეყნებში ბევრი იყო თავისუფალი მამულები და ნამეტნაობა ხალხისა იქ მიდიოდა. ახლა იქაც გამრავლდა ხალხი. იქაც ადარა ჰყოფნით მამული. მაშ, რა უნდა ვიღონოთ, რომ ამ გარემოებამ გაჭირვებაში არ ჩააგდოს ქვეყანაო. ამისათვის საჭიროა ისეთი ღონე, რომლის ძალითაც სულ მცირე მამულმა მეტი შემოსავალი მისცეს მამულის პატრონსაო.

— ახალი საურთიერთო მცირე კრედიტის საზოგადოება პეტერბურგში დაიწყებს მოქმედებას მერმის 1 იანვრიდან. დეკემბერში იქმნება საზოგადო კრება, რომელზედაც აირჩევენ გამგეობის წევრთ და საბჭოს წევრთა. პირველ წელს ვეღარანი უსასყიდლოდ იმსახურებენ.

— პეტერბურგის საქალაქო თვით-მართველობა აშენებს ორს სასკოლო სახლს: ერთს პუშკინის სახელზედ და მეორეს—გოგოლის სახელზედ. თითოეულ შენობაში 18 კლასისთვის იქნება ოთახები. გოგოლის სახლში იქმნება მოთავსებული სახალხო სამკითხველო და სახალხო აუდიტორია.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ოკდომბრის 13 (ახ. სტ.) ლორდ როზბერის ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს შეფფილდში ჩემბერლენის საბაჟო პროექტის წინააღმდეგ. ორატორმა ჯერ ის უთანხმოება აღნიშნა, რომელიც ჰსუფევდა სამინისტროში მომავალ პოლიტიკის შესახებ.

იმ დროს, როცა მინისტრ-პრემიერი აცხადებდა,—ყოვლად შეუძლებელია პურზედ ბაჟის მომატებაო, ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა ბირმინჰამში განაცხადა,—ჩვენი ქვეყანა განსაცდელში ჩავარდება, თუ ბაჟებს არ მოვუმატეთო. ორატორს, საზოგადოდ, იმედი არა აქვს, რომ ახლანდელმა სამინისტრომ საკვებით გამოარკვიოს და ასწონ-დასწონოს საბაჟო პოლიტიკის საკითხი: ყოველ შემთხვევაში ამ გამოკვლევის მეოხებით სამინისტრო თავიდგან ვერ აიცდენს მოსალოდნელ ქარიშხალს, რომელიც მალე დაჰბერავს საშინელის ძლიერებითაო. მთავრობის ნამდვილი ხელმძღვანელი ამ ჟამად, რასაკვირველია, ჩემბერლენიაო,—სთქვა ორატორმა. მისი შვილი, ოსტენ ჩემბერლენი, ხაზინის კანცლერი, ბეჯითად განაგრძობს მამის მფარველობით პოლიტიკასაო. ორატორს არა სწამს რადიკალობის პოლიტიკისა.

ჩემბერლენის პოლიტიკა საპნის ბუშტებსა გვპირდებაო. აქამდე ჩემბერლენის პროექტები ჰიპოტეზებსა და სათუო მოსაზრებაზედ იყო ხოლმე დამყარებული, მაგრამ ისეთს დიდს სავაჭრო სახელმწიფოს, როგორიცაა ინგლისი, არ შეუძლიან მხოლოდ ჰიპოტეზებზედ დააფუძნოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა და მთელს განათლებულ ქვეყნიერობას გაუმკლავდეს. თავისუფალმა ვაჭრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა ინგლისს, ჩემბერლენს კი მოუწადინებია სახიფათოდ გაჰხადოს ინგლისის საგარეო აღებ-მიცემობა და ჰგონებს,—ახალშენებთან აღებ-მიცემობით ავინაზღაურებთ ყველაფერსაო.

არც ერთი ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავს ჩემბერლენს, რომ მის მიერ მოწონებულს ღონისძიებას შეეძლოს გაჰკურნოს ჩვენი მრეწველობა იმ სენისაგან, რომელიც ამ უკანასკნელ ხანად დასჩემდა. საუკეთესო ღონისძიებაა სამეცნიერო მეთოდები და საუკეთესო განათლება, უმთავრესად-კი ახალის ბაზრების მოპოვება შემუშავებულ ნაწარმოებთა გასასაღებლადაო.

საერთო საიმპერიო ტარიფის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ გვარი სისტემა დაჰბადებდა დაუსრულებელს უთანხმოებასა და უკმაყოფილებას, რაიცა, ალბად, იმპერიის დანაწილებას გამოიწვევდაო.

**იაპონია.** გაზ. „ტაიმს“-ის სიტყვით, იაპონია დიდად გულნატკენია მანჯურიაში რუსეთის გაბატონებით, მაგრამ გრძნობს, რომ ვერას გახდება, და ამიტომ ჩქარობს კორეიაში მაინც შეიძინოს რამე. რუსეთი მხოლოდ ჩინეთსა სცნობს მანჯურიის ჰქირისუფლად და სხვას არავის; კორეის შესახებ იგი მზადაა იაპონიასთანაც დაიჭიროს საქმეო.

იაპონიის ჟურნალ-გაზეთობაში მეტად გაცხარებულის კილოთი მსჯელობენ მანჯურიის საქმეთა შესახებ. ომიანობის მომხრე დასს ზომიერი გაზეთი „ასახი-შიმბუნიც“-კი მიემხრო; ეს გაზეთი ამბობს,—პოლიტიკური ურთიერთობა იაპონიასა და კორეას შორის საკმაოდ გამორკვეულია, მხოლოდ ჩვენსა და რუსეთს შორის-კი მეტად ბუნდოვანი და გამოურკვეველია. მანჯურიის ეკონომიურად დაფლობას რუსეთი შეუდგა მას შემდეგ, რაც პორტ-არტური ჩაიგდო ხელში. რადგან უცხო სახელმწიფოები დროზედ არ ჩაერივნენ ამ საქმეში და ხელი არ შეუშალეს რუსეთის განზრახვას, მანჯურიის პრობლემა, რომელიც აღელვებს ჩვენს ხალხსა, გადაუწყვეტელი დარჩა. საეჭვოა, რომ რუსეთმა გაიყვანოს თავისი ჯარები მანჯურიიდგან და შეასრულოს 1896 წელს ჩინეთთან დადებული ხელშეკრულობა; ეს-კი იმას მოასწავებს, რომ მანჯურიის საკითხმა ნაირი იცვალა და მოითხოვს, რომ სავაჭრო-სამრეწველო ავტონომია დამყარდეს და უეჭველად შე-

## ფელეტონი

### უბრალოდ ფრის.

[illegible]

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, პაპის ლეონ XIII გარდაცვალების შემდეგ მის მოადგილედ არჩეულ იქმნა ორი [illegible] სარტო. სარტო, ჯერ კიდევ „ახალგაზდაა“,—69 წლისაა; თუმცა ეს ხანი ჩვენში უკვე ღრმა მოხუცების ხნადაა, მაგრამ პაპის მოადგილედ სარტოზე ახალგაზრდა არიან ითვლება. ამიტომ „ახალგაზრდა პაპს“ ეძახიან ვატიკანში. პიო მე-X მოულოდნელად იქმნა არჩეული. ამ დროს, ის [illegible] და რამპოლის მრავალი სახელდებული პაპის კანდიდატად, სარტოს კანდიდატობა არ ისტოდა არავის მოსვლია თავში. [illegible] გაიმარჯვა სარტომ, [illegible] პაპის კანდიდატად [illegible] რომელიც [illegible] რომელიც ავსტრიის [illegible] ... ორივე მხცოვანი კარდინალი და ამნაირად გაცრუვდა ის ანდაზაც, რომელიც ამბობს: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“.

ახალი პაპი პიო მე-X „დაემორჩილა თავისს ხვედრს“ და შეუდგა პაპის თანამდებობის აღსრულებას;. არჩევის შემდეგ პაპმა გამოსცა ენციკლიკა, სადაც, სხვათა შორის, ამბობს, „სულითა და გულით ვევედრებოდი ღმერთს, თვალცრემლიანი ვლოცულობდი, რომ მე არ ავერჩიეთ პაპად, მაგრამ მაინც არ ამცდაო“.

ამას გარდა, ერთს ვიღაც მკითხავს უთქვამს ამ ოცის წლის წინად, რომ იოსებ სარტო ვერც ერთ თანამდებობაზედ ცხრა წელიწადზედ მეტს ვერ დაჰყოფსო; ამ ამბავს დიდად შეუწუხებია აწინდელი, პაპის დები და საგონებელში ჩაუგდია: „ნუ თუ ჩვენი ძმა ცხრა წლის შემდეგ პაპად აღარ იქნებაო“? ეს წინასწარმეტყველება მკითხავისა მით უფრო აშინებს პაპის დებს, რომ როდესაც იოსებ სარტო ჯერ კიდევ მღვდელ-მთავრად იყო ვენეციაში, ცხრა წლის განმავლობაში არც ამ თანამდებობაზედ დარჩენილა.

* * *

ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ პირველად საუბარი რომის პაპიდგან დავიწყე იმ დროს, როდესაც მთელის ქვეყნიერობის ყურადღება შორეულ აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული.

შორეულს აღმოსავლეთში საქმეები მეტად აიწეწა. საქმე ისაა, რომ რუსეთმა მანჯურია დაიკავა, შიგ ჯარები ჩააყენა იმ დროს, როცა ჩინეთში „დიდი მუშტის“ აჯანყება იყო, და საბუთად მოიყვანა, რომ „ჩინეთში ეხლა არეულობაა და საჭიროა რუსეთის საზღვრები დაცულ იქმნას ჯარებითაო. ხოლო როგორც-კი ჩინეთი დამშვიდდება, ჯარებს მაშინათვე გავიყვან მანჯურიიდგანაო“. ვადად დასდო 9 ოკდომბერი ამ წლისა; ეს ვადა უკვე გავიდა, მაგრამ რუსეთს ჯერ ჯარები ადგილიდგან არ დაუძრავს და, როგორცა სჩანს, არც აპირებს დაძვრას; ამ ხანად მიზეზად იმას ასახელებს, რომ ჩინეთი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულაო; ნამდვილად-კი მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს, სახელდობრ ისა, რომ რუსეთმა მანჯურიაში ვაჭრობა გააჩაღა, გაიყვანა ციმბირის რკინის გზა, გადაასახლა შიდა გუბერნიებიდგან გლეხები და სხვა.

ყველა ეს ძლიერ აღშფოთებს იაპონიას, რომელიც მტკიცედ ადგია მონროეს დოქტრინას: „ჩინეთი—ჩინელთათვის“.

იაპონელები ადრევე გაიძახოდნენ,—რუსეთი არ ასრულებს თავისს დანაპირებს და ძალა დაატანოს ჩვენმა მთავრობამ, რომ მანჯურია დასცალოსო. ჯერ კიდევ გასულ ზაფხულში აღელდა ხალხი და მთავრობას მოსთხოვა,—გამოუცხადეთ ომი რუსეთსაო. ეხლა ხომ მთელი იაპონია ფეხზედა სდგას და მზად არის საომრად. იაპონიამ უკვე ჩინეთისა და კორეის ზღვებში 16 კრეისერი და ნაღმიანი გემი გაჰგზავნა; თითქმის ამდენივე ჯავშნიანის გემის გაგზავნაც შეუძლიანთ და ფულის შოვნაც, როგორც იაპონელები ტრაბახობენ, არ გაუჭირდებათ; არც გერმანიასა, არც შეერთებულ შტატებსა და არც ინგლისს არ მოსწონთ და როგორღაც არ ეპიტნავებათ, რომ რუსეთი მანჯურიაში გაბატონდეს; ამიტომ არც ერთი ზემოხსენებული სახელმწიფოთაგანი, რომელნიც ყველაზედ უმდიდრეს სახელმწიფოებად ითვლებიან, სესხს არ დაუჭერენ იაპონიას და, პირიქით, სიამოვნებითაც მისცემენ, მეტადრე ინგლისი.

ასეა თუ ისე, რუსეთსა და იაპონიას შორის ომი აუცილებლად მოსალოდნელია, ხოლო რომელს დარჩება გამარჯვება, ამას მომავალი გვაჩვენებს.

* * *

ვიკმაროთ იაპონია-რუსეთის საქმეთა ვითარების მოკლედ აღნიშვნა და დავუბრუნდეთ ისევ ოსმალეთს; ვამბობ „დავუბრუნდეთ“-მეთქი იმიტომ, რომ ერთერთს ჩვენს წინა ფელეტონში გაკვრით მოხსენებული გვქონდა ოსმალეთის სახელმწიფოს საზოგადო მდგომარეობა; ეხლა-კი ვთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზედ, თუ რას ჰფიქრობს ევროპა ოსმალეთის საქმეთა გამო.

ამ ჟამად საზოგადოდ მთელის ევროპის სინიდისს მძიმე ტვირთად აწევს კისერზედ საზოგადო, მწვავი და საერთაშორისო საგანი—ეს არის მაკედონელთა საქმე. საკმაოა მაკედონელთა სახელის გახსენებაც-კი, რომ ადვილად წარმოგვიდგეთ თვალწინ საშინელი სისხლის ღვრა და ძალა-უნებურად სიბრალული გაგვიღვივდეთ გულში... რას ებრძვიან ან რისთვის და ვისთვის იბრძვიან მაკედონელები?.. რა არის მათი მისწრაფება?

მათნი უფლებანი ყოველ მხრივ შეზღუდულია. მათთვის საჭიროა აუცილებელი კანონიერი წესწყობილება და თვითმართველობა, რის შემოღებაც ევროპამ დაავალა ოტტომანის იმპერიას ბერლინის ხელშეკრულობით 1878 წელს. ოსმალეთიც თანახმა იყო, მაგრამ მხოლოდ სიტყვით; ოსმალეთმა არც ერთი კანონიერი მოთხოვნილება მაკედონელთა არ დააკმაყოფილა და დიდი სახელმწიფოებიც ჯერჯერობით თავს არ იცხელებენ, რომ ჩააგონონ ოსმალეთს ვრცელის რეფორმების განხორციელება; ვერ აალებინეს ხელი მუსულმანთა საშინელ სისტემაზე და ოსმალები დრო-გამოშვებით განაგრძობენ ქრისტეანთა ხოცვა-ჟლეტას და მიზეზად ყოველთვის ის მოჰყავთ, რომ „შესაძლებელია აჯანყდნენ ქრისტეანნი მკვიდრნიო“. სომხეთა ამოჟლეტისათვის ოსმალეთს ევროპამ არავითარი სასჯელი არ მიუსაჯა და ამგვარად ჩაილულის წყალივით ჩაიარა იმ საშინელმა ვაებამ, რომელიც სომხებს მიაყენა ოსმალეთმა. ვერავითარმა დიპლომატიურმა წინააღმდეგობამ ვერ იმოქმედა ოსმალეთზე და ვერ შეარყია ოსმალეთის უსასტიკესი რეჟიმი. ასევე უნაყოფოდ რჩება ევროპის დიპლომატიის ყოველივე ცდა მრავალტანჯულ მაკედონელთა ბედის გაუმჯობესობისათვის.

რაკი ევროპა ყოვლად ულონო და უსუსური აღმოჩნდა მაკედონელთა აუტანელ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ყოველი იმედი მაკედონიისა და ძველის სერბიის მცხოვრებთა დამყარებულ იქმნა სერბიისა და ბულგარიის მთავრობაზედ, რომ

მოზიდულ იქმნას უცხოეთის საქონელი ზოგიერთ ნავთსადგურებიდან.

რუსეთის მოქმედებამ ვერ გაამართლა მისი მოლოდინი მანჯურიაში: აღმოსავლეთს გაგზავნილი ციმბირის ეკონომიურ ვითარების გასაცნობად ფინანსთა მინისტრი ვიტტე, როგორც ვუწყით, იმედ-გაცრუებული დაბრუნდა უკან. რუსეთი დღემდე აუარებელ ფულსა ჰხარჯავს ქალაქების: დალნისა და არტურის მოსაწყობად და რკინის გზათა ლიანდაგების გასაყვანად, მაგრამ თვალსაჩინო ჰოგებას-კი ვერასა ჰხედავს. ჩვენს აღებ-მიცემას-კი უკეთესი ბედი ეწია. ყველაზედ უფრო დიდმნიშვნელოვანი ადგილი შემოსაზიდ საქონლისათვის ნიუ-ჩვანგია. ამ ნავთ-სადგურში ყველაზედ დიდი აღებ-მიცემობა ჩვენა გვაქვს. ამიტომაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ნიუ-ჩვანგში მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ბანკები დავაარსოთ და „იუ-ზენის“ საზოგადოების სანავოსნო მიმოსვლა გავმართოთ იაპონიისა და ამ ნავთსადგურს შორის.

განა ჰღირს ლაპარაკი კორეის შესახებ, რომლის აღებ მიცემობაც უკანასკნელ წელს 1,100,000 იენს არ აღემატებოდა. გარდა ამისა, სტატისტიკურ ცნობებით, დღითი-დღე მატულობს მანჯურიას გადასახლებულთა რიცხვი.

ახლა, როდესაც ჩვენის მხედრობის რაოდენობა 400,000-მდე ავიდა და ფლოტიც უკვე გავაძლიერეთ, და ამისათვის ოდნავაც არ შეგვირყევია ჩვენის ფინანსების მდგომარეობა, საყურადღებოა ვიცოდეთ, რა პოლიტიკას არჩევს ჩვენი მთავრობა კორეისა და ჩინეთის ბაზარზე ჩვენის ვაჭრობის გასაძლიერებლად და თავისუფალ მრეწველობის განვითარების უზრუნველ-ყოფისათვის? რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ აჭიანურებს საქმესა და არ უნდა მანჯურიის კარები გაგვიღოს სავაჭროდ; რუსეთის გავლენა-კი, მხოლოდ მანჯურიის მოხელეთაგან ცნობილი, არაა აღიარებული საერთაშორისო პოლიტიკის მიერ“.

— ინგლისის მთავრობას ოფიციალურად განუცხადებია, — სხვა-და-სხვა სახელმწიფოები, რომელნიც პირობით არიან შეკრულნი ჩინეთთან, მოითხოვენ, რომ ჩინეთმა და რუსეთმა ისეთი ხელშეკრულობა არ დასდონ, რომელიც სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთა უფლებებს შეზღუდავსო. თუ კი ეს უფლებანი არ იქნება დარღვეული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არც იაპონია და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო არ გადაეღობება წინ რუსეთს, რომ მანჯურიაში თავისი საკუთარი ინტერესები დაიცვას და არ მოაწადინებს შორეულ აღმოსავლეთად მშვიდობიანობის დარღვევასაო.

— როგორც გაზ. „ინდეპ. ბელჟ.“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან, ამერიკის ესკადრის უფროსს ადმირალ ევანსს ბრძანება მიუღია, ჩინეთის აღმოსავლეთ კოჯაოში დადექი, რომ შემდეგ 13 ოკდომბრისათვის იაპონიისაკენ გაემართო. ადმირალ ევანსის ესკადრას ენდა შეერთებოდა კიდევ ათი ჯავშნიანი გემი.

# ნარკვევი

მკითხველებს, რასაკვირველია, ეხსომებათ, რა ქარ-ბუქი ააყენა ბ. პალმმა და მისმა ღირსეულმა დამქაშებმა სოხუმის ქალაქის თავის არჩევნების გამო. თავები წაიწყვიტეს — ქართველი რად აირჩიესო. აი ამ მითქმა-მოთქმისა და ათასგვარის ცილის წამების გამო „ცნობის ფურც.“-ს ამ წლის № 2285-ში დაისტამბა ფრიად შესანიშნავი წერილი: „სოხუმის ქალაქის არჩევნები“, ბ. თ. ს—სი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი მთელი ისტორია ამ საქმისა. იწყება საქმე ბ-ნ ტომარადან, რომელსაც უცნაური მალაყები უთამაშნია, სდომებია მალაყებით სოხუმელები გაებრუებინა, და თვით ეპარპაშნა, როგორც ბანკში, ისე ქალაქის გამგეობაში.

„როცა სოხუმელებმა ბ. ტომარას თავიანთი განზრახვა გააგებინეს, ამან თავმდაბლად თანხმობა განაცხადა, — ამბობს ავტორი წერილისა. — ქალაქის თავობას ვიკისრებ, მაგრამ ბანკზე ამდენი ამაგი მიმიძღვის, ჩემი ძალ-ღონე იმის წარმატებას შევალიე და, როცა საქმე ფეხზე დავაყენე, თქვენა გნებავთ, ხელი ავიღო, თავი მივანებო.... არა, გული მეწვის ამ საქმისათვის და, თუ მაინც და მაინც ქალაქის თავობას მაკისრებინებთ, ბანკის თავმჯდომარედაც დავრჩები; ამას იქვენი ინტერესი მოითხოვს“.

ილაჯ გაწყვეტილნი სოხუმელები ქალაქის თავის ძებნით დაყაბულდნენ, კი ბატონოვო, — მოახსენეს ტომარასა. ამანაც არც აცივა, არც აცხელა და ბანკში წლიური ჯამაგირიც დაინიშნა 2,800 მ., ნაცვლად 1,200 მ. აქ ეღარ მოითმინეს სოხუმელებმა და „უჩა“ (შავი) კენჭები მიაყარეს. ახლა ვკითხავთ ბ-ნს პალმსა და მისს დამქაშებსა: ბ-ნი ტომარა ქალაქის თავობის ღირსია? ღირსია ამისთანა კაცი ქალაქის თავად, რომელიც მხოლოდ თავის ჯიბის გასქელებაზედ ფიქრობს?

სოხუმელები მოიღალნენ ქალაქის თავის ძებნით, ვინც-კი ეგულებოდათ, ვინც-კი ფარსაგი კაცი იყო სოხუმში, ყველას მიჰმართეს: ლევშონს, ოსტროუმოვს, მეტაქსას და მარკოვს, — იმ მარკოვს, რომელსაც ქართველთა ჰამიაობა გაუხდია ხელობად, მაგრამ არც ერთმა არ ინდომა; მაშინ სოხუმელები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და დაასახელეს ბ-ნი ვ. აბულაძე, ხ. ღლონტი და ალ. მაჭავარიანი. არჩეულ იქმნა ვ. აბულაძე. როგორ თუ აბულაძე აირჩიეთო, — შეიქმნა ერთი ორომტრიალი, აღელდა პალმი, აღელვა მთლად შავი ზღვა, მას ბანი მისცა მარკოვმა და ისეთი „დიფტიპიტო“ ჩამოუარეს, რომ ქვეყანა დააბნიეს. აბულაძისთანა კანდიდატი სხვაგან ყველასთვის სასურველი იქნებოდაო, — განაგრძობს ბ. თ. ს—ა, —

„მაგრამ სოხუმი სულ სხვა ვასკვლავზეა დაბადებული... სოხუმში არსებობს ისეთი წრე, რომლის თვალშიაც ადამიანს ყოველივე ღირსება და უპირატესობა ეკარგვის, თუ მისს გვარს ბოლოს ძე ან შვილი აქვს. როცა სოხუმში ვ. აბულაძის გვარი გაისმა, კი არ იკითხეს — ეს კაცი რა ღირსების პატრონიაო; არა, რაკი ძეა, ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, ცუდი იქნებაო (იხ. იმ ხანების წერილები „ჩერნ. ვესტ.“-ში მოთავსებული)“.

ძე—ს და შვილი-ს მოძულეთ გამოიყვანეს თვისი კანდიდატი ბ. ზახაროვი, მაგრამ როგორც ზემოდაც ვსთქვით, ვერ გაიმარჯვა, და ვერ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ის ქალაქისათვის გამოსადეგი არ იქნებოდა, როგორც გამოუცდელი კაცი. როცა აბულაძესა და ღლონტს უმრავლესი თეთრი კენჭი ერგოთ, კრების თავმჯდომარემ, ბ. მარკოვმა, თურმე განაცხადა:

„ამათდ სცდილობთ ორის ქართველის არჩევას, სულ ერთია, არ დაამტკიცებენო... ბ. მარკოვმა ის კი არ იკითხა, ბ. აბულაძე შესაფერი კანდიდატი იყო თუ არა, არამედ გაიგონა, რომ ბ. აბულაძის გვარს ფლექსიად ძე ჰქონდა.

მოდი და ნუ გაიმეორებ აქ ბ. ლუკა თოფურიძის სიტყვებსა, რომლითაც მას მიუმართნია ბ. მარკოვისათვის აბულაძის გამო:..

„ქართველი რომ არის, იმიტომ არ დაამტკიცებენო! რათაო, დედაო და თვალო! ქართველმა ვის რა გვემი შეუწვა! ნუ თუ ჩვენც თანასწორი უფლებით მოსილნი ქვეშევრდომნი არა ვართ დიდის რუსეთის იმპერიისა»?..

# თეატრი და ხელოვნება

**რუსული ოპერა.** თუ რომ სათეატრო ნაწარმოები, როგორათაც ხელოვნებისავე სხვა დარგი, უნდა იყოს განმახორციელებელი ადამიანის გრძნობებისა და უნდა ესისხლხორცებოდეს ცხოვრების სინამდვილეს, მაშინ ეჭვგარეშეა, ბ-ნი ფიგნერი დიდებული მსახურია ამ მოძღვრებისა. ის ღვთაებრივი მადლი, რომლითაც მოსილია ამ მომღერალ-მსახიობის არსება, როდია მიმართული ერთ-მხრივ. მის მხატვრობრივ აღდოსათვის ხელის გუდივით გადაშლილია ხელოვნების საიდუმლოება, რომლის საშუალებითაც იგი აანსს წორის ძლიერებით იტაცებს მსმენელს ტანჯვა-გაჭირვების თუ ტრფიალება-სიხარულის სამფლობელოში.

რა მრავალ-ფეროვანია გადმოცემა მსახიობის მიერ დონ-ხოზეს სულის კვეთებათა «კარმენ»-ში, ვერ წარმოიდგენს თვით მდიდარის ოცნებით აღბეჭდილი ადამიანი, თუ თავისის თვალით არ ნახა ბ-ნი ფიგნერი და თავისის ყურით არ მოისმინა მისი სიმღერა.

ცრემლ ნარევი კილო ჰანგისა, იმედი და უიმედობა, სულის საშინელი აღმძვრელი დრამატიზმი ანაზდეულად ვიდოდა მაყურებლის წინაშე თანასწორის ცხოველ მეტყველებით და ყველა ამ მრავალ გვარ გრძნობათა გამაპიროვნებელი იყო ერთი და იგივე ადამიანი, ერთი და იგივე მომღერალ-მსახიობი — ბ-ნი ფიგნერი. უკანასკნელ მოქმედებაში ხომ მთელი სცენა, პარტერი და საზოგადოება დატყვევებულ იქმნა ამ ჯადოსან — კაცისაგან. როგორც ნამდვილი მოწამე საშინელის წამისა, როდესაც აბობოქრებული გრძნობა დელვა სასიკვდილოდ აწირვინებს ადამიანს თვის სავე მოყვასს, — საზოგადოება სულგანაბული უგდებდა ყურს და ამ საერთო მიმხედილობაში, როცა თვით ჭაერიც-კი თითქო შეკუმშულიყო, მოისმოდა ნადვლელ-სამსალით გაჟღენთილი ხმა ფიგნერისა და ამ ხმაში ამოიკითხავდით ისეთს სასოწარკვეთილებას მრავალ-ტანჯულის ადამიანისას, რომ თრთოლა და შიშის ზარი აგიტანდათ. ამასთანავე გრძნობდით, რომ უახლოვდებოდით მშვენიერებით გადაიდებულს ტაძარს ხელოვნებისას, რომელშიაც მისი ღირსი მსახური, ბ-ნი ფიგნერი, მღვდელ მსახურებდა....

წამი იყო მრავალ-მეტყველი, ზეადმტაცი!...

## ბ-ნ კორხანიდის წერილი.

ეს წერილი, რუსულად შეთხზული, ავტორმა მოიტანა რედაქციაში სამის კვირის წინად და გვთხოვა ქართულად გადმოგვეთარგმნა და დაგვებეჭდა. ჩვენ ვუპასუხეთ: თარგმნისთვის არა გვცალიან, თქვენ თვითონ გადაათარგმნინეთ რომელსამე თქვენს კარგ ნაცნობს, მოიტანეთ და დავბეჭდავთო. ავტორმა წაიღო უკან და დაბრუნება ისე დააგვიანა, რომ გვეგონა — დაბეჭდვა გადაიფიქრაო. ბოლოს ისევ მოიტანა ცოტა შესწორებული და შევსებული. ვბეჭდავთ წერილს, თუმცა იგი უმართებულო და უღირსს ინსინუაციებს შეიცავს. საარსო მხარეს საგნისას ჩვენ შემდეგში ვუძღვნით ცალკე წერილსა; ახლა-კი მხოლოდ შენიშვნებს ვაძლევთ სხოლიოში.

—

«ივერიის» № 177-ში დაიბეჭდა შენიშვნა, რომელშიაც მოყვანილი იყო ადგილები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან (Руководство) და ჩემის წიგნის „Живое Слово“-ს პირველის გამოცემის წინასიტყვაობიდგან. ეს წიგნი, საგანგებოდ ბერძნების სკოლებისათვის შედგენილი, გამოიცა 5 — 6 წლის წინად [1]), როდესაც ახლად სკოლიდგან გამოსული და საკუთარის პედაგოგიურის გამოცდილების უქონელი, უნდა ვისიმე გავლენის ქვეშ ვყოფილიყავი (ურიგო არ იქმნებოდა, ვისმე მოცლილს გამოეძია, თუ რაოდენი გავლენა ჰქონია ამა თუ იმ პედაგოგს თვით გოგებაშვილზე). ვისაც სურს შეამოწმოს, ჩემს ამნაირ მიბაძვას შეიძლება თუ არა დაერქვას პლაგიატი [2]), ვურჩევ შეადაროს ერთმანეთს Живое Слово-ს პირველი გამოცემა და მაშინდელი გამოცემა Русское Слово-სი. ახლა-კი მკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმ გარამთებას, რომ ხსენებული შენიშვნა დაიბეჭდა Живое Слово-ს ახალს (მესამე) გამოცემის გამოქვეყნებამდე, იმ Живое Слово-სი, რომელიც ქართულის სკოლებისათვის არის დანიშნული, მაგრამ ისე ოსტატურად იყო დაწერილი, რომ საქმის უცოდნელს მკითხველს ამ ჩემის უკანასკნელის წიგნის მტრობას და სიძულილს უნერგავდა [3]).

მას უკან „შურდულში“ იყო მოთავსებული, სხვათა შორის, გაკვრით, თვით წიგნის დაუსახელებლად, ცხადის განძრახვით, რომ დაუსჯელად მეხვედრებინა ნიშანში, შენიშვნა, რომელშიაც მოყვანილი იყო რადაც («შურდული» კიდევ მოიყვანს მაგალითებს) უცნაური მაგალითები რუსულიდგან ქართულად თარგმნისა *). ამ შენიშვნებით უნდოდათ ჩემის წიგნის გამოქვეყნებამდე მისთვის ნდობის წახდენა. ეს კიდევ არაფერი. პირველს შენიშვნაში მისი ავტორი არწმუნებს მკითხველებს, რომ ვითომ ჩემს წიგნს გასავალი ექნება მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას მფარველობას გაუწევს უფლება-მოსილი პირი. ამის დასამტკიცებლად, უეჭველია, იმავე ბანაკიდგან გავრცელებულ იქმნა იმავე განზრახვით ზეპირად საშინელი (?) ამბები **), მაგრამ რა ვუყოთ? ასეთია ჩვეულებრივი ხერხი იმ პირთა, რომელნიც იცავენ თავიანთ ჯიბის ინტერესს უმაღლესის ინტერესების ძომიზეზებით. [4])

რა-კი საგანი ჩვენ სპეციალად მიგვაჩნდა, არ ვფიქრობდით აქაურს გაზეთებში გაგვემართა პოლემიკა (არც ახლა ვფიქრობთ) ამ შენიშვნების ავტორთან და თვით მსურველთ მივანდეთ ჩვენის წიგნის შესახებ აზრის შედგენა მის სერიოზად გაშინჯვით და შედარებით Русско Слово-სთან.

ჩვენ გაუგზავნეთ „ივერიის“ რედაქციას Ж. С.-ს მესამე გამოცემის (ქართულის სკოლებისათვის) ერთი ცალი და ბარათით ვთხოვეთ, როცა ადგილს მისცემდა გაზეთში ჩემის წიგნის შესახებ რეცენზიას, არ დასჯერებოდა საზოგადო ფრაზებს და მოეთხოვნა, რომ თვით წიგნის ტექსტიდგან უფილიყო მოყვანილი დასასაბუთებელი მაგალითები. მაგრამ რა? ამ ბარათის დაბეჭდვის მაგიერ (რაიცა მე ვითხოვე), თითქო მის პასუხად, რედაქციამ გაზეთში მოათავსა ჩემის წიგნის შესახებ ახალი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელშიაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, ისევ საზოგადო ფრაზებით, რომ ჩემი წიგნი უვარგისია. [5]) შენიშვნის ავტორი, სხვათა შორის, ამბობს: 1, პირველი გამოცემა Живое Слово-სი თუ Русское Слово-ს ჰგავდა, მესამე გამოცემა ჰგავს ჩერნიაევსკის Русская Рѣчь-ს. (ნება მიბოძეთ ვიკითხო, ჩემი წიგნი რაში ჰგავს მათ ან თვით Русское Слово და Русская Рѣчь რასა ჰგავანან). 2, ვითომ Живое Слово არ შეუძლიან გასწიოს გ — ლის Рус. Слово-ს მაგიერობა ქართულს სკოლებში, რადგან პირველის წიგნის შემდგენელი არ არის ქართველი, არ იცის არც ენა, არც ისტორია, არც ლიტერატურა, არც ცხოვრება ქართველის ხალხისა. ამისთანა ლამაზის და პირველის შეხედვით დამარწმუნებელის ფრაზის მაგიერ, ის არ ემჯობინებოდა, რომ შეედარებინა ორივე წიგნი და ეჩვენებინა მკითხველისათვის მაგალითებით, რაში გამოიხატა ეს უცოდინარობა ან ცოდნა ქართველის ხალხის ენისა და ცხოვრებისა ან ერთს ან მეორე წიგნში [6]).

ბოლოს ერთხელ კიდევ ვთხოვ რედაქციას, რა-კი ჩემს წიგნს იმოდენად ყურადღების ღირსად სცნობს მკითხველისათვის, რომ ისე ხშირად იძლევა მის შესახებ შენიშვნებს, (რომელთაც ვერ ვუწოდებ კრიტიკულს), უთუოდ უჩვენოს ჩემის წიგნიდგან მაგალითებიც გვერდების აღნიშვნით [7]).

10 სეკდემბერი 1903 წ.

პ. კორხანიდი.

[1]) პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1899 წლის ნახევარში, მაშასადამე, ოთხის წლის წინად და არა ექვსისა. რედ.

[2]) პლაგიატი დავარქვით მეთოდიურს დარიგებას მასწავლებელთათვის, რომელიც თითქმის სიტყვა—სიტყვით იყო გადაბეჭდილი „Русское Слово-ს მეთოდიკიდგან და კრანტიც არ არის ამაზე დაძრული ავტორისაგან. თვითონ საბავშვო სახელ-მძღვანელოს-კი მიბაძვა ვუწოდეთ, და არა პლაგიატი. რედ.

[3]) ესეც ტყუილია: შენიშვნის ავტორი ეხებოდა მხოლოდ პირველს ორს გამოცემას, მესამეზედ მხოლოდ იმას ამბობდა, რაც ადრიანადვე გამოაქვეყნა გაზეთებში თვითონ კორხანიდიმ, სახელდობრ: რომ იგი დანიშნულია არა მარტო ბერძნულ სკოლებისათვის, არამედ ქართული და სომხურის სკოლებისათვისაც, და პლიუშკინის წადებს მოგაგონებთო. რედ.

*) ჩემის წიგნისთვის, ჩემის თხოვნით. რუსულიდგან ქართულად თარგმნა ტფილისის სათავად აზნაურო სკოლაში ქართულის ენის მასწავლებელმა ა. ქუთათელაძემ, ხოლო კორექტურა გაასწორა პირველი ნახევარი გრ. ყიფშიძემ, ხოლო მეორე ნახევარი ცნობილმა პოეტმა ქალმა განდეგილმა. ავტ. (ესეც სწორე არ არის. ყიფშიძემ შეამოწმა მხოლოდ სიმართლე ზოგიერთის სიტყვების თარგმანისა).

**) სიტყვაზე აქ შევნიშნავ, რომ მე წესად მაქვს მიღებული ჩემს წიგნში ყოველი ახლად შესასწავლი სიტყვა, თვალ-საჩინოდ შესწავლის გარდა, ვთარგმნო კიდეც ბავშვის სამშობლო ენაზე. Рус. Слово-ში-კი გოგებაშვილი ურჩევს მასწავლებელს მიმართოს სამშობლო ენას მაშინ, როცა მას ხელთ არ ექნება თვით საგანი ან მის სურათი, ანუ როდესაც სიტყვა ხატავს არა გრძნობით შესაგნებს საგანს (იხ. ი. გოგებაშვილის Руководство, გვ. 12). ავტ.

პირველი ანუ ლექსიური განყოფილება, რომელშიც თარგმანს ადგილი არ აქვს, ბ-ნს კორხანიდის ერთი ორად და სამად გაუდიდებია ნორმალურზე, და რადგანაც შემდეგს განყოფილებებში არა სთარგმნის იმ სიტყვებს, რომელნიც ლექსიურს განყოფილებაში არიან ნახმარნი, ამის გამო მხოლოდ აქა იქა ჰხედავთ ქართულს ცალკე სიტყვებს და ისიც პატარა შრიფტით; მაშინ როდესაც რუსული შრიფტი ვეებერთელაა და მსუქანი. მაგრამ ამ მხარეს საგნისას სხვა უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც აქ ვერ შევეხებით. რედ.

[4]) ჩვენს თანამშრომლებს ამ საქმეში ჯიბის ინტერესს დასწამებს მხოლოდ ის, ვინც თვითონ არის ჩაფლული ამ დაბალ ინტერესის ჭაობში და სხვებსაც თავის ალაბით ზომავს. რედ.

[5]) უვარგისად ჩავთვალეთ ქართულ სკოლებისათვის, ხოლო ბერძნულის სკოლებისათვის ვაღიარეთ სასარგებლო წიგნად. რედ.

[6]) ეს უცოდინარი ცოდნა იმაში გამოიხატება, რომ ქართულს ცხოვრებასა და კორხანიდის წიგნაკს შორის არავითარი კავშირი არ არის და ვერც იქნება, რადგანაც ამ ცხოვრებას სრულიად არ იცნობს თვით ავტორი. რედ.

[7]) ჩვენ უკვე ვუჩვენეთ პირველი ორი გამოცემის შესახებ საარაკო პლაგიატი და გამეორებას საჭიროდ აღარა ვსთვლით; რაც შეეხება მესამე გამოცემას, რომელიც თითქმის ახლად არის შედგენილი, იგიც ნასესხებია სხვა-და-სხვა ავტორებისაგან; მაგრამ ნასესხები ნაწილები ვერ დაუკავშირებია ერთმანეთთან ჩვენს ავტორს, რის გამოც იგინი მწყრალად არიან ერთმანეთზე. ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ავტორი მესამე გამოცემის ცვლილებას არ იხსენიებს, როგორც ეს არის მიღებული და სავალდებულო, არამედ მალავს, ალბად იმ განზრახვით, რომ მეორე გამოცემის მოწონება მესამეზედაც გადაიტანოს მკითხველის თვალში. რედ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოკდომბერი.

**იურიევეცი.** ერობამ მიიღო წყლის მილის და ელექტრონის განათებისა 160.000 მ. პროექტი. ფული გადადებულაა ამ საქმისათვის.

**კიევნო.** ქალაქის სიფხიზლის კომიტეტმა გადასწყვიტა სახალხო სახლთან მოაწყონ, რომ მუშებს ეძლეოდეთ მედინიცური შემწეობა, გამართოს სახალხო ხორო და საკვირაო სკოლა.

**ეკატერინოსლავი.** ერობა ათს ადგილს მართავს მოზრდილთათვის სადამოს კურსებსა.

**ვაშინგტონი.** რუსეთის პროტესტს იმის გამო, მუკდენში გარეშე სახელმწიფოთა ვაჭრობისათვის არ გაიხსნას ბაზარი, დიდის ყურადღებით მოეპყრნენ. სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის მთავრობას კბილს უშინჯავს, თუ რას დაადგება შესახებ თავისუფალის ვაჭრობისა მანჯურიაში.

**ტოკიო.** რუსეთის სამხედრო მთავრობის მოქმედება კორეის სამზღვარზე დაუდგრომლივ სწარმოებს. იაპონიის გაზეთები ერთობ შავბნელად ხატვენ აწინდელ მდგომარეობას. — ის ბრძანება, რომ ზამთრობით კანონერკა „ჩოკაი“ დარჩენილიყო ნიუ-ჩუანში, გადასდეს.

**ლონდონი.** მთავრობამ გადასწყვიტა, პარლამენტი აპრილში დაითხოვოს.

**სოფია.** მთავრობა სათადარიგო ჯარებს ითხოვს; ამავე დროს ოსმალები ითხოვენ გაორკეცებულ რიცხვს თავის ჯარებისას.

—

როგორმე ამ პაწია სახელმწიფოებს მაინც ეღონათ რამე და ხელი შეეშალათ ოსმალეთის მაკედონელთა წინააღმდეგ სისასტიკისათვის. ამასთან ერთად ყველას იმედი ჰქონდა, რომ ხონთქრის მთავრობა შეიწყნარებდა რუსეთის მოთხოვნილებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ საადმინისტრაციო ცვლილების შესახებ, ე. ი. დანიშნავდა ქრისტეან გუბერნატორებს, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ. ჯერჯერობით არც ქრისტეანი გუბერნატორი სჩანს და არც სხვა, მაკედონელთათვის სანუგეშო, რამე. როდესაც ბულგარიამ ბეჯითი წინააღმდეგობა გამოუცხადა ოსმალეთს ოსმალო ჯარის კაცების ძალმომრეობის გამო, მაკედონელები უფრო წააქეზა ამ გარემოებამ და მეტის მხნეობითა და სიმამაცით მოჰკიდეს ხელი თავიანთ წმინდა საქმეს; ბულგარიასა და ოსმალეთს კინაღამ ომი მოუხდათ და ჯერ კიდევ ვინ იცის, რითი გათავდება ეს საქმე, მაგრამ ყველასათვის სასიხარულოა, რომ პაწია ბულგარიამ ასეთი მხნეობა და მამაცობა გამოიჩინა ამ საქმეში და მოსალოდნელ ომსაც-კი არ შეუშინდა.

ყველაზედ უფრო დიდი იმედი ჰქონდათ ავსტრია-რუსეთის 1897 წლის შეთანხმებისა, მაგრამ ეს შეთანხმებაც უსარგებლო გამოდგა მაკედონელთათვის, რადგან ორივე სახელმწიფო თავდაპირველად იმ აზრს ადგა, რომ საჭიროა ხელშეუხებლად დაცულ იქმნას status-quo-ო. ასე და ამ გვარად, ამ შეთანხმებამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ოსმალეთზედ, რომ გაეუმჯობესებინა ოსმალეთის საშინაო საადმინისტრაციო წესები. ავსტრია-რუსეთის შეთანხმება თუ იქონიებს რაიმე მნიშვნელობას ოსმალეთისათვის, ისევ ოსმალთა სასარგებლოდ, რადგანაც ამ შეთანხმების ძალით, მხოლოდ მეგობრულად უნდა ურჩიონ ორმავე სახელმწიფომ რეფორმების შემოღება, ხოლო ოსმალეთთან „მეგობრული რჩევა“ კი ბისტი არა ღირს!.. სულ სხვა იქნებოდა, რომ ბერლინის ხელშეკრულობის ძალით, ემოქმედნათ ოსმალეთზედ: მაშინ თუ ოსმალეთი ნებით არას დაუთმობდა მაკედონელთ, ევროპის სახელმწიფოებს ძალით შეეძლოთ დაეთმობინებინათ რამე და გაეუმჯობესებინათ ოსმალეთის ქვეშევრდომ სლავიანთა სვე-ბედი, მაგრამ აქაც თავისი მიზეზი გამოტყვრა, აქაც იჩინა თავი ნათესაობამ და ნათელ-მირონობამ: როგორც ვუწყით, გერმანიას ბაღდადის რკინის გზის კონცესია აქვს აღებული და ამნაირს სავაჭრო საქმეს, რომელიც გერმანიას დიდს სარგებლობას უქადის, მაკედონელთა გულისთვის გამოეთხოვებოდა? ხოლო ამ ხელ-შეკრულობაზედ უფრო დიდი გავლენა გერმანიას აქვს; სხვებმა-კი მაგდენად აღარ შეიწუხეს თავი მაკედონელებისათვის. ნათქვამია: „სხვისა ჭირიო — ღობეს ჩხირიო“. — თვითონ მაგდენად გასაჭირი არა აქვს-რა არც ერთს იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც ბერლინის ხელ-შეკრულობაზედ ხელი უწერიათ, და სხვისთვის ვისა სცხელა!..

დ. ჯ—ი

**ბელგრადი.** არსებულმა ვითომდა საიდუმლო კომიტეტმა აცნობა პოლკოვნიკს მაშინს, რომ მან რვა დღის განმავლობაში მოიყვანოს წესრიგში თვისი საქმეები, რადგან ამ ვადის შემდეგ მოკლულ იქმნებით.

**სოფია.** მეორე ხარისხის სათადარიგო ჯარს დაუყოვნებლივ დაითხოვენ, თუ ოსმალეთი შეასრულებს დაპირებულ ვალდებულებას.

10 ოკდომბერი.

**პორტ-არტური.** როგორც ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, ჩინეთში განზრახვა აქვთ დააწესონ სამხედრო სამინისტრო და აგრეთვე შეადგინონ სამხედრო კანონთა დებულება.

**ქრისტიანია.** შესდგა ახალი სამინისტრო.

**სტამბოლი.** რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა დღეს გადასცეს პორტას ნოტა მიურცშტეგში მიღებულ გარდაწყვეტილებათა გამო.

**პარიჟი.** როდესაც დეპუტატთა პალატაში მთავრობას შეეკითხნენ რა პოლიტიკას დაადგებითო, 332 ხმით წინააღმდეგ 233-სა, მოიწონეს მთავრობის აზრი.

**სოფია.** ოსმალეთის კომისიამ შეატყობინა მთავრობას, რომ პორტამ უკვე მოახდინა განკარგულება მაკედონიიდგან და ადრიანოპოლის ვილაიეტიდგან ჯარების დათხოვნის შესახებ, მაგრამ დუბნიცისა და კიუსტენდილის ოლქებში ჯერ კიდევ არიან მეამბოხეთა ჯგუფნი, რომელნიც აჯანყებას მხარს უჭერენო. მთავრობის წარმომადგენელნი ამ გარემოებას ამგვარად ჰხსნიან,—ეს ცნობა ოსმალეთის მთავრობამ იმ აზრით გაავრცელა, რომ შემთხვევა მიეცეს, კიდევ დიდხან გააჩეროს მრავლად ჯარები ბულგარიის საზღვრების მახლობლადაო.

იტყობინებიან, რომ ოსმალებსა და მეამბოხეთა შორის დიდი სისხლის ღვრა მოხდა ჯუმაიასა და რაზლოგს შორისო.

**სოფია.** ოფიციალურმა „ნოვ. ვეკ“-მა დაჰბეჭდა ცნობა ოტტომანის კომისარისა; კომისარი აცხადებდა, რომ სოფიის გაზეთების ნალაპარაკევი, ვითომც ოსმალო ჯარის კაცები მაკედონიაში ძალმომრეობენო ტყუილია. გაზეთი სასტიკად ეწინააღმდეგება კომისარის ცნობას და ამბობს, რომ იმის ნალაპარაკებს სრულიად უარჰყოფს ის გარემოება, რომ ოსმალეთის მთავრობამ თვით დასაჯა ოსმალო ოფიცრები, სამოქალაქო მოხელენი და ჯარის კაცებიო.

**სტამბოლი.** მოვიდა 4 ბელგიელი ოფიცერი, რომელნიც მიწვეულნი არიან მაკედონიაში ჟანდარმერიის ახალს წესზედ მოსაწყობად.

**პეტერბურგის ბირჟა** 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში . , . . . | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | 37,32½ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,60 |
| ბერლინში ,, . . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 99⅝ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | 90¾ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 95⅛ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 443 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . | 332¾ წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . | 282¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | — |
| 6% ქუთ. სა[illegible] მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 4501 გაყ. |
| აქციები. ,, ,, ,, | 472 |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. . | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 380 მც. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 191⅛ წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . . . . | — |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიური სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების გენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.


# განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 15 ოკდომბრიდგან 1903 წლისა შეცვლილ იქმნება მატარებელთა მიმოსვლის წესი ამ რიგად.

დრო მატარებელთა მოსვლისა და წასვლისა ნაჩვენებია **პეტერბურგის** საათით, რომელიც **ტფილისის** ჩამორჩება 58 წუთით.

**ბაქოდან ბათუმამდე.**

| სადგურები. | მსწრაფლი კავკასიის-მოსკ.-ტფილ. № 19. მოსვლა | № 19 წასვლა | საფოსტო № 3 მოსვლა | № 3 წასვლა | სახალხო № 5 მოსვლა | № 5 წასვლა | საქ. სახალ. № 17 მოსვლა | № 17 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქო | ღამის | 3.50 | ღამის | 10.30 | დილის | 12.50 | ღამ.-ს | 3.10 |
| ბალაჯარი | 6.13 | 6.14 | 10.58 | 11.13 | 1.17 | 1.37 | 3.37 | 4.7 |
| ჰაჯი-ქაბული | 8.40 | 8.48 | 2.13 | 2.30 | 4.29 | 4.49 | 7.12 | 7.37 |
| ქიურდამირი | 10.14 | 10.19 | 4.19 | 4.29 | 6.35 | 6.47 | 9.41 | 9.58 |
| ევლახი | 12.12 | 12.22 | 7.04 | 7.20 | 9.31 | 9.46 | 1.06 | 1.31 |
| განჯა | 2.07 | 2.15 | 9.33 | 9.50 | 11.58 | 12.08 | 3.46 | 4.22 |
| აქსტაფა | 5.32 | 5.40 | 12.55 | 1.18 | 3.03 | 3.13 | 1.38 | 8.03 |
| ტფილისი | 7.01 | სალამო | 4.40 | 5.50 | 6.15 | 7.10 | 11.24 | ღამის |
| გორი | | | 7.56 | 8.04 | 9.36 | 9.44 | | |
| მიხაილოვო | | | 9.19 | 9.39 | 10.57 | 11.17 | | |
| შორაპანი | | | 12.14 | 12.22 | 1.49 | 1.54 | | |
| რიონი | | | 1.37 | 1.53 | 3.04 | 3.14 | | |
| სამტრედია | | | 2.40 | 2.55 | 4.01 | 4.21 | | |
| ბათუმი | | | 6.11 | დილის | 7.25 | საღამ. | | |

**ბათუმიდან ბაქომდე.**

| სადგურები. | მსწრაფლი კავკ.-მოსკ.-ტფილ. № 20. მოსვლა | № 20 წასვლა | საფოსტო № 4 მოსვლა | № 4 წასვლა | სახალხო № 6 მოსვლა | № 6 წასვლა | საქ.-სახალ. № 18 მოსვლა | № 18 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | | | სალ. | 11.10 | დილ. | 8.34 | | |
| სამტრედია | | | 2.29 | 2.44 | 11.41 | 12.01 | | |
| რიონი | | | 3.35 | 3.47 | 12.52 | 1.02 | | |
| შორაპანი | | | 4.53 | 4.59 | 2.11 | 2.18 | | |
| მიხაილოვო | | | 7.44 | 7.59 | 5.12 | 5.27 | | |
| გორი | | | 9.04 | 9.12 | 6.32 | 6.42 | | |
| ტფილისი | დღის | 4.30 | 11.25 | 12.10 | 9.00 | 9.30 | დილ. | 6.36 |
| აქსტაფა | 6.46 | 6.54 | 3.00 | 3.20 | 12.16 | 12.26 | 9.30 | 9.50 |
| განჯა | 9.13 | 9.21 | 6.26 | 6.43 | 3.36 | 3.52 | 1.00 | 1.29 |
| ევლახი | 10.41 | 10.51 | 8.37 | 8.52 | 5.40 | 5.50 | 3.32 | 3.48 |
| ქიურდამირი | 12.45 | 2.50 | 1.21 | 11.33 | 8.24 | 8.34 | 6.25 | 6.36 |
| ჰაჯი-ქაბული | 2.18 | 2.26 | 1.16 | 1.31 | 10.25 | 10.45 | 8.22 | 8.41 |
| ბალაჯარი | 4.53 | 4.54 | 5.18 | 5.47 | 1.48 | 2.13 | 11.50 | 12.20 |
| ბაქო | 5.15 | ღამ. | 6.10 | დილ. | 2.35 | დღის. | 12.42 | ღამ. |

**ტფილისიდან ერევნამდე და ერევნიდან ტფილისამდე.**

| საფოსტო 74/75 მოსვლა | 74/75 წასვლა | საქ.-სახალ. 90/91 მოსვლა | 90/91 წასვლა | სადგურები. | საფოსტო 76/77 მოსვლა | 76/77 წასვლა | საქ.-სახალ. 92/93 მოსვლა | 92/93 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საღამ. | 10.15 | დღის | 12.30 | ↓ ტფილისი ↑ | 5.55 | ღამის | 4.00 | დღის |
| 3.08 | 3.18 | 5.15 | 5.30 | სანაინი | 12.55 | 1.18 | 11.07 | 11.30 |
| 5.23 | 5.38 | 7.32 | 7.52 | ყარაკლისი | 11.15 | 11.29 | 9.20 | 9.36 |
| 8.54 | 9.14 | 11.08 | 11.50 | ალექსანდროპოლი | 7.56 | 8.16 | 5.02 | 6.02 |
| 3.02 | დღის | 7.26 | დილის | ერევანი | დღის | 12.52 | საღამ. | 7.34 |

**ალექსანდროპოლიდან ყარსამდე და ყარსიდან ალექსანდროპოლამდე.**

| საფოსტო 95 მოსვლა | 95 წასვლა | საქ.-სახ. 97 მოსვლა | 97 წასვლა | სადგურები. | საფოსტო 96 მოსვლა | 96 წასვლა | საქ.-სახალ. 94 მოსვლა | 94 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილის | 9.30 | საღამ. | 11.40 | ↓ ალექსანდროპოლი ↑ | 7.40 | საღამ. | 5.20 | ღამის |
| 12.50 | დღის | 3.10 | ღამის | ყარსი | საღ. | 4.37 | ღამის | 2.07 |

**ბორჯომიდან ბაკურიანამდე და ბაკურიანიდან ბორჯომამდე.**

| სახალხო 93 მოსვლა | 93 წასვლა | სახალხო 95 მოსვლა | 95 წასვლა | სადგურები. | სახალხო მატარებლები 94 მოსვლა | 94 წასვლა | 96 მოსვლა | 96 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილის | 6.00 | დილის | 8.20 | ↓ ბორჯომი ↑ | 2.31 | დღის | 5.58 | დღის |
| 9.58 | დილის | 12.18 | დღის | ბაკურიანი | დილის | 10.34 | დღის | 2.00 |

**ტფილის-მიხაილოვო-ბორჯომი და ბორჯომ-მიხაილოვო-ტფილისი.**

| სახალხო 90 მოსვლა | 90 წასვლა | 92 მოსვლა | 92 წასვლა | 7/8 მოსვლა | 7/8 წასვლა | სადგურები. | სახალხო მატარებელი 8/7 მოსვლა | 8/7 წასვლა | 89 მოსვლა | 89 წასვლა | 91 მოსვლა | 91 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღ. | 2.00 | ↓ ტფილისი ↑ | 6.40 | დილ | | | | |
| | | | | 4.24 | 4.39 | გორი | 4.2[illegible] | 4.29 | | | | |
| დილ | 8.10 | საღ | 9.50 | 6.00 | 6.10 | მიხაილოვო | 2.30 | 3.14 | 5.00 | დღ. | 11.01 | დილ |
| 9.20 | დილ | 11.00 | საღ. | 7.20 | საღ. | ბორჯომი | ღამ. | 1.20 | დღ. | 3.50 | დილ. | 9.53 |

**სამტრედიიდან ფოთამდე და ფოთიდან სამტრედიამდე.**

| სადგურები. | სახალხო მატარებელი 111 მოსვლა | 111 წასვლა | 115 მოსვლა | 115 წასვლა | საქ.-სახ. 113 მოსვლა | 113 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | ღამის | 3.10 | დღის | 4.30 | დღის | 12.20 |
| ფოთი | 5.29 | ღამის | 6.56 | საღამ. | 2.24 | დღის |

**ფოთიდან ქუთაისამდე და ქუთაისიდან ფოთამდე.**

| სადგურები. | სახალხო 112 მოსვლა | 112 წასვლა | საქ.-სახ. 114 მოსვლა | 114 წასვლა | სახალხო 116 მოსვლა | 116 წასვლა | სახალხო 118 მოსვლა | 118 წასვლა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფოთი | დილის | 6.00 | დილის | 9.24 | დღის | 1.32 | საღამ. | 11.56 |
| სამტრედია | 8.00 | 8.15 | 11.30 | დილის | 3.40 | დღის | 2.10 | ღამ. |
| რიონი | 9.06 | 9.10 | | | | | | |
| ქუთაისი | 9.30 | დილის | | | | | | |

**რიონიდან ქუთაისამდე და ქუთაისიდან რიონამდე**

| სადგურები. | სახალხო მატარებლები 12 | 102 | 104 | 106 | 110 |
|---|---|---|---|---|---|
| რიონიდან გადის | 7.50 | 2.10 | 4.45 | 1.10 | 7.20 |
| ქუთაისში მიდის | 8.10 | 2.30 | 5.05 | 1.30 | 7.40 |
| | დილის | ღამის | ღამის | დღის | საღამ. |

| სადგურები. | სახალხო მატარებლები 11 | 101 | 103 | 107 | 109 |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისიდან გადის | 3.10 | 1.00 | 3.00 | 2.20 | 6.20 |
| რიონში მიდის | 3.30 | 1.20 | 3.20 | 2.40 | 6.40 |
| | დღის | ღამის | ღამის | დღის | საღამ. |

**მიხაილოვიდან სურამამდე.**

| სადგურები. | საქონ.-სახალხო მატარებლები 79 | 81 | 83 | 85 | 87 |
|---|---|---|---|---|---|
| მიხაილოვიდან გადის | 2.20 | 8.10 | 11.28 | 6.18 | 9.50 |
| სურამში მიდის | 2.32 | 8.22 | 11.40 | 6.30 | 10.02 |
| | ღამის | დილის | დილის | საღამ. | საღამ. |

**სურამიდან მიხაილოვამდე.**

| სადგურები. | საქონ.-სახალხო მატარებლები 80 | 82 | 84 | 86 | 88 |
|---|---|---|---|---|---|
| სურამიდან გადის | 2.48 | 7.08 | 10.30 | 4.48 | 8.50 |
| მიხაილოვში მიდის | 3.00 | 7.20 | 10.42 | 5.00 | 9.02 |
| | ღამის | დილის | დილის | დღის | საღამ. |

**შორაპან-დარკვეთი და დარკვეთ-შორაპანი.**

| სახალხო მატარებელი 98 მოდის | 98 გადის | 100 მოდის | 100 გადის | სადგურები. | სახალხო მატარებელი 97 მოდის | 97 გადის | 99 მოდის | 99 გადის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილის | 6.00 | დღის | 5.00 | ↓ შორაპანი ↑ | 1.30 | დღის | 11.55 | საღამ. |
| 8.27 | 8.40 | 7.25 | 7.40 | ჭიათურა | 11.03 | 11.23 | 9.28 | 9.48 |
| 9.00 | დილის | 8.00 | საღამ. | დარკვეთი | დილის | 10.45 | საღამ. | 9.10 |

**ბათუმიდან ნატანებამდე და ნატანებიდან ბათუმამდე**

| სახალხო მატარებელი 14 მოდის | 14 გადის | 16 მოდის | 16 გადის | სადგურები. | სახალხო მატარებელი 13 მოდის | 13 გადის | 17 მოდის | 17 გადის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღამის | 5.54 | დღის | 2.00 | ↓ ბათუმი ↑ | 8.06 | დილის | 5.36 | დღ. |
| 6.33 | 6.35 | 2.32 | 2.34 | ჩაქვა | 7.33 | 7.34 | 5.01 | 5.05 |
| 6.52 | დილის | 2.51 | 2.55 | ქობულეთი | დილის | 7.14 | 4.37 | 4.42 |
| | | 3.18 | დღის | ნატანები | | | დღის | 4.15 |

**ბათუმიდან შორაპნამდე და შორაპნიდან ბათუმამდე.**

| სახალხო. 10 მოდის | 10 გადის | სადგურები. | სახალხო. 9 მოდის | 9 გადის | საქ.-სახალხ. 108 მოდის | 108 გადის |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღამის | 12.07 | ↓ ბათუმი ↑ | 11.22 | საღამ. | დღის | 3.40 |
| 3.25 | 3.39 | სამტრედია | 7.54 | 8.09 | 4.00 | 5.30 |
| 4.30 | 4.40 | რიონი | 7.00 | 7.07 | 8.55 | საღამ. |
| 5.48 | ღამის | შორაპანი | დღ.ს | 5.50 | | |

**რიონიდან ტყიბულამდე და ტყიბულიდან რიონამდე.**

| სადგურები. | საქ.-სახალხ. 105 მოდის | 105 გადის |
|---|---|---|
| ↓ რიონი ↑ | 12.40 | დღის |
| ქუთაისი | 10.00 | 12.20 |
| ტყიბული | დილის | 6.36 |

**ბაქოდან ბალაჯარამდე და ბალაჯარიდან ბაქომდე მატარებლები კავკასის რკ. გზისა.**

| კავკაზ-მოსკ.-ტფილისისა. № 19 bis მოდის | გადის | საფოსტო № 3 bis მოდის | გადის | სახალხო № 5 dis მოდის | გადის | მატარ. № 9 bis მოდის | გადის | საქ.-სახალ. № 11 bis მოდის | გადის | სადგურები. | მსწრაფლი კ-ვკ-ტფილ.-მოსკ. № 20 bis მოდის | გადის | საფოსტო № 4 bis მოდის | გადის | სახალხო № 6 bis მოდის | გადის | მატარ. № 10 bis მოდის | გადის | საქ.-სახალ. № 12 bis მოდის | გადის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილის | 6.00 | დილის | 7.50 | საღ. | 12.45 | დილის | 2.20 | დღის | 3.20 | ↓ ბაქო ↑ | 5.08 | ღამის | 9.20 | საღამ | 3.55 | ღამის | 1.10 | დილის | 11.40 | დილის |
| 6.28 | დილის | 8.20 | დილის | 12.12 | ღამ. | 2.50 | დილის | 3.55 | დილის | ბალაჯარი | ღამის | 4.45 | საღამ. | 8.58 | ღამის | 3.33 | დილის | 12.46 | დილის | 11.10 |

**შენიშვნა.** 1) კავკასიის მსწრაფლი მატარებლები №№ 19 და 20 ტფილისსა და მოსკოვს შუა ბაქოში შევლით ივლიან კვირაში ერთხელ: მატარებელი № 19 ტფილისში მოვა პ ა რ ა ს კ ე ვ ო ბ ი თ, ხოლო № 20 ტფილისიდან გავა ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და ბაქოში ჩავა ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: 2) საქ.-სახალხო მატარებლები №№ 17 და 18 ტფილისსა და ბაქოს შუა მიმოსვლას დაიწყებენ 1904 წლის პირველ იანვრიდან; 3) საქ.-სახალხო მატარებლები №№ 94 და 97 ალექსანდროპოლსა და ყარსს შუა ივლიან მაშინ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს; 4) 14 ოქტომბერს საფოსტო მატარებელი 74/75 ყარსის შტოსი ტფილისიდან წავა 11 ს. 30 წუთის ნაცვლად, საღამოს 10 ს. 15 წუთზე (პეტერბ. დრო).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით-რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.